ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31251763**
თარიღი: **25/06/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

23. 06. 2025 წელი

11:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი:მაკა მშვიდობაძე; შოთა ჩაგუნავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი:მაკა მშვიდობაძე; ვარდენ კვაჭაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 16 აპრილის NGOV 9 25 00009548 წერილის თანახმად, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის, კერძოდ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა და მასთან დაკავშირებით გამოავლინა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გასათვალისწინებელი შენიშვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სასკ-ის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს, შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ და აღნიშნული დაზუსტება აისახოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ შესაბამის სამართლებრივ აქტებში, რომლითაც დარეგულირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მიზანშეწონილად მიიჩნევს - დაკმაყოფილდეს პარლამენტის წევრის, ვასილ ჩიგოგიძის 2025 წლის 16 მაისის N 2414/3-52/25 მომართვაში დასმული მოთხოვნა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა N37- ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა - ნაგებობების მესამე სართულზე არსებული

2 ოთახი, საერთო ფართით - 33,96 კვ .მ. (ს /კ 27.06.52.114)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, (საქართველოს მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით), სარგებლობის უფლებით გადაეცეს პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროს, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

ფრაქციის წევრებმა დააყენეს წინადადება, რომ აღნიშნული ფართისთვის გამოიყოს ალტერნატიული შენობა.

თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3 .

3. სხვადასხვა საკითხები:

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ წერილობით რამდენჯერმე მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, თუმცა პასუხი მხოლოდ ერთ წერილზე მიიღო. მისი თქმით, კანონით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადა უკვე დიდი ხანია ამოწურულია, რის გამოც საკითხზე სამართლებრივად მოუწევთ პასუხის გაცემა.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

- თებერვალში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან რამოდენიმე კვლავ იმავე სახლში ცხოვრობს. წვიმის დროს ის ქონებაც ზიანდება, რაც მათ სტიქიის შემდეგ შემორჩათ. ის დაინტერესებულია, თუ სადამდეა ვადა სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის.

- როდის დასრულდება სოფელ ქვიანში, რუსთაველის ქუჩის დასაწყისში ასფალტის საფარის დაგება, სადაც დარჩენილია დაახლოებით 70-მეტრიანი მონაკვეთი.

- სოფელ ქვიანის ცენტრში დაზიანებულია წყლის მილი, რომელიც წყალს აღარ ატარებს და გამონადენი სავალ გზაზე გადმოდის.

- სოფელ ნიგოითსა და შუხუთში უკვე მოეწყო მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირები. აუცილებელია მსგავსი სამუშაოები ჩატარდეს ქვიანშიც, რადგან მდინარის ნაპირის ეროზია ზარალს აყენებს რამოდენიმე ოჯახს და აზიანებს მათ საკარმიდამო ნაკვეთებს, რასაც საკუთარი სახსრებით ვერ უმკლავდებიან.

ჯუმბერ ბლაგიძემ კიდევ ერთხელ დააყენა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც სუფსისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას წლებია აწუხებს. მისი თქმით მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე ჭაბურღილები უკვე მოწყობილია, წყლის მრიცხველებიც დამონტაჟებულია და მილებიც მიწაშია გაყვანილი, პროექტი დღემდე დაუსრულებელია, რის გამოც მოსახლეობა კვლავ უწყლოდ რჩება. ის დაინტერესდა, რატომ არ გრძელდება სამუშაოები და კონკრეტულად როდის იგეგმება მათი დასრულება.

მისი განცხადებით, არანაკლებ საგანგაშოა ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის მდგომარეობა- შენობა ამჟამად მიწასთან არის გასწორებული. მოსწავლეები სწავლას თავდაპირველად ნინოშვილის სკოლაში აგრძელებდნენ, ახლა კი ლესის სკოლაში დადიან. ბატონი ჯუმბერი მოითხოვს მკაფიო პასუხს: როდის დაიწყება სკოლის აღდგენითი სამუშაოები. აღნიშნული პრობლემები ნათლად მიუთითებს იმ სისტემურ ხარვეზებზე, რაც დღემდე ხელს უშლის პროექტების დროულად და ეფექტურად განხორციელებას. გარდა ამისა, კვლავ მოუგვარებელი რჩება ეწრისა და ჯურუყვეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხიც, მოსახლეობა ელოდება კონკრეტულ ვადებს და პასუხებს-როდის დაიწყება ამ აუცილებელი ობიექტების მშენებლობა.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.06.2025 წელი

11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	10:55 სხდ.	
2	გოჩა ჯანაშია	10 55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	10 55	